სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება №02-02/36

ქ. ბათუმი 16 მარტი, 2017 წელი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ერთის მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო (შემდგომში - „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მინისტრის ლაშა კომახიძის სახით (მისამართი: ქ. ბათუმი, აკ. მამია კომახიძის ქ. N119) და მეორეს მხრივ, სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“ (ქ.თბილისი, ვაკე-საბურთალოს რ-ნი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ) შემდგომში - „მიმწოდებელი“, წარმოდგენილი პრეზიდენტის დავით გიორგობიანის სახით შევთანხმდით შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით მიმწოდებელი თანახმაა სამინისტროს ბალანსზე რიცხული ავტომანქანის (Hyundai ix 35, სახელმწიფო ნომრით XDX-441) მიმდინარე რემონტისათვის მიაწოდოს სათადარიგო ნაწილები (CPV დანაყოფი - 34300000, კოდი 34330000, 34322400, CPV დანაყოფი - 09200000, კოდი - 09211100, CPV დანაყოფი - 42900000, კოდი - 42913300) და გაუწიოს ტექმომსახურება (CPV დანაყოფი - 50100000), ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

1.2. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 2441,25 (ორიათას ოთხას ორმოცდაერთი და 25 თეთერი) ლარს.

1.3. შესყიდვის ობიექტის სახეობა, რაოდენობა და ერთეულის ფასი განისაზღვრება ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის მიერ დამოწმებული დანართი N1-ის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.საქონლის/მომსახურების მიღება-ჩაბარება, მიწოდების პირობები

2.1. საქონელი/მომსახურება მიღებულად ჩაითვლება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის სათანადოთ უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და სასაქონლო ზედნადების/ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ.

2.2. მიღება-ჩაბარების აქტისა და სასაქონლო ზედნადების/ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე შემსყიდველი ახდენს ანგარიშსწორებას მიმწოდებლისაგან მიღებულ საქონელზე/მომსახურებაზე.

2.3. საქონლის/მომსახურების მიწოდება ხორციელდება მიმწოდებლის მიერ, დანართი N1-ით განსაზღვრული ვადების შესაბამისად.

2.4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია სამეურეო განყოფილების უფროსი გენადი გობაძე.

3.გარანტია

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი/მომსახურება იქნება მოქმედი სტანდარტის შესაბამისი.

3.2. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის შეცვლა, ხოლო არაჯეროვნად გაწეული მომსახურების შემთხვევაში მისი აღმოფხვრა, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

4. ანგარიშსწორება

4.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის/მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტისა და სასაქონლო ზედნადების/ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

4.2. მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშ-ფაქტურაში/სასაქონლო ზედნადებში მიუთითოს ყველა საჭირო რეკვიზიტი, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს დოკუმენტი.

4.3.ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

4.4. ანგარიშსწორება მიმწოდებლთან განხორციელდება ლარებში.

5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

5.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეთანხმების გარდა.

5.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

5.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6.ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

6.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

7.ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

7.1. შემსყიდველს შეუძლია ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

7.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კოტროლი.

8.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სამეურნეო განყოფილების უფროსი გენადი გობაძე.

9.დაუძლეველი ძალა

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება დაუძლეველი ძალის დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ,,დაუძლეველი ძალა" ნიშნავს მხარეებისათვის გადაუულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, გაფიცვებით, სახალხო მღელვარებებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით, საქართველოს ან/და მესამე სახელმწიფოების ან/და სხვა მესამე პირების მიერ პოლიტიკური ან/და სხვა სახის გადაწყვეტილებით, რომლითაც პირდაპირ თუ ირიბად იზღუდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობა და სხვა.

9.3. დაუძლეველი ძალის დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან დაუძლეველი ძალის გარემოებების ზეგავლენისაგან.

10.პასუხისმგებლობა

10.1. თუ მიმწოდებელის მიერ დარღვეული იქნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის/მომსახურების მიწოდების ვადები, მაშინ მას ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა მოუწოდებელი საქონლის/მომსახურების ღირებულების 0,02 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10.2. ხელშეკრულების 10.1. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების მიმწოდებლის მიერ შეუსრულებლობის გამო, შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) %-ის ოდენობით.

10.4. მიმწოდებელი ვალდებულია დარიცხული პირგასამტეხლოს თანხა პირგასამტეხლოს დარიცხვის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში ჩარიცხოს შეტყობინებაში მითითებულ ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე და წარუდგინოს შემსყიდველს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი (საგადახდო დავალების დედანი ან ბანკის მიერ დამოწმებული ასლი).

10.5. ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამისილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, დროულად გადაუხდელი თანხის 0,02% ოდენობით. ასეთი უფლებით მიმწოდებელმა შეიძლება ისარგებლოს მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ და იგი არ წარმოადგენს მის ვალდებულებას.

11.სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

12.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის 26 აპრილის ჩათვლით.

13. გადასახადები და ბაჟები

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

14. საერთო პირობები

ხელშეკრულება შედგენილია და ხელმოწერილია სამ ეგზემპლარად ქართულ ენაზე. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლიარი ინახება მომწოდებელთან, ორი ეგზემპლიარი – შემსყიდველთან.

15.მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
სოფლის მეურნეობის სამინისტრო
ქ. ბათუმი, მ. კომახიძის ქ. №119
ს/კ 245428265

„მიმწოდებელი“

სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“
ქ.თბილისი, ვაკე-საბურთალოს რ-ნი, დ.
აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ
ს/კ 204478948
ა/ნ GE15TB1100000110467697
მიმღ. ბანკი: სს ,,თი ბი სი ბანკი"
ბ/კ TBCBGE22

ლაშა კომახიძე
მინისტრი

დავით გიორგობიანი
პრეზიდენტი

ინფორმაცია ფასებისა და მიწოდების გრაფიკის შესახებ

N	საქონლის (მომსახურების) (CPV კოდი)	საქონლის /მომსახურების აღწერა	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთ.ფასი	საერთო ფასი (ლარი)	მიწოდების ადგილი და ვადა
1	CPV დანაყოფი - 34300000, კოდი 34330000, 34322400	წინა საყრდენი დისკო	ცალი	2	225,25	450,50	ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში ქ. თბილისი
		წინა ხუნდები	ცალი	1	199,75	199,75	
		ყუმბარის გადამყვანი ღერძი	ცალი	1	327,25	327,25	
		JOINT ASSY – CV RH (ყუმბარა)	ცალი	1	973,25	973,25	
		გიტარის მილისა	ცალი	2	46,75	93,50	
2	CPV დანაყოფი - 42900000, კოდი - 42913300	ზეთის ფილტრი	ცალი	1	17,00	17,00	
3	CPV დანაყოფი - 09200000, კოდი - 09211100	ძრავის ზეთი	ლიტრი	4	21,25	85,00	
4	CPV დანაყოფი - 50100000	ტექმომსახურება		1	295,00	295,00	
	სულ:					**2441,25**	

„შემსყიდველი"
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
სოფლის მეურნეობის სამინისტრო
ს/კ 245428265

ლაშა კომახიძე
მინისტრი

„მიმწოდებელი"
სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო"
ს/კ 204478948

დავით გიორგობიანი
პრეზიდენტი